

ანტიკის ვალანაუთიბი ძველ-ქართულ ლიტერატურაში

I

მეთერთმეტე საუკუნიდან, როდესაც ჩვენში დამყარდა ულტრაბიზანტიური მიმართულება, ქართველები დიდი ინტერესით სწავლობენ ანტიკურ კულტურას, — ძველ ბერძნულ ისტორიას, ფილოსოფიას, მითოლოგიასა და ლიტერატურას. ეს ინტერესი მეთერთმეტე საუკუნეში არ გაჩენილა, ის უძველესი დროიდანვე მზადდებოდა ჩვენში: ბერძნულ-რომაული კულტურის ელემენტებს ჩვენი წინაპრები გაცილებით ადრე ეცნობოდნენ ბიზანტიელებთან უშუალო, ცოცხალი, საქმიანი ურთიერთობის პროცესში, უფრო კი მწიგნობრული გზით. ჯერ კიდევ საეკლესიო ბიზანტიური მწერლობის საშუალებით შემოდიოდა ჩვენში და ვრცელდებოდა ცნობები ელინური კულტურის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშეს ჩვენში იმ მწერლებმა, რომელნიც ახლო იდგნენ ანტიკურ ლიტერატურასთან და უფრო მწვავედ განიცდიდნენ მის სიდიადეს¹. ვგულისხმობთ იმ ავტორებს, რომელნიც, პოლემიკური თუ სხვა რაიმე მოსაზრებით, თავიანთ ნაწარმოებებში ხშირად ეხებოდნენ ამ კულტურას. ამ მხრივ ჩვენი კულტურის უძველესი (მეათე საუკუნემდე) პერიოდისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ბიზანტიური ჰაგიოგრაფია. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, რომელშიაც დაპირისპირებულია ორი სამყარო, — ანტიკური და ქრისტიანული, — მეტს საბაბს პოულობდა შეხებოდა ძველს ბერძნულ-რომაულ კულტურულ მემკვიდრეობას. რადგანაც მეათე საუკუნემდე ჩვენი ნათარგმნი ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს სწორედ ჰაგიოგრაფია წარმოადგენდა, ამიტომ გასაგები ხდება, რომ მასაც შემოჰქონდა ჩვენში ცნობები ანტიკური წარსულიდან. ამგვარი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები ჩვენს მწერლობაში ბლომად მოიპოვება. ამთავად ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ერთ თხზულებაზე, რომელსაც „ევსტრატის წამება“ ეწოდება.

ევსტრატის მოღვაწეობა დაკავშირებულია ქვეყანასთან. „რომელსაც ჰრქვან ასტალია“ (Σαυαλιαν), თუმცა ის მსაჯულს ეუბნება: «სახელი ჩემი არს ევსტრატის და მეორედ წოდებულ არს ბარსაბონ და ქუეყანაჲ ჩემი კვრისიკეს». დღეს არსებულ ბერძნულ რედაქციასთან (რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი) შედარებით, აქ «ბარსაბონი» ზედმეტია და «კვრისიკეს» არის არა ქვეყნის სახელი, არამედ მეორედი სახელი ევსტრატისა; ბერძნულში ასეა:

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 8—9, 1941 წ.

«Κυρισίχης ἡὺ ἐπαυαμίου τῆ πατρὸς β:αλιχαι» (cognomine Cyrisikes paterno serinone). ქართულ თარგმანში რომ ამ შემთხვევაში რალაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, ეს თვითონ ამ თარგმანის მომდევნო ადგილებიდანა ჩანს, იმ ადგილებიდან, სადაც «კვრისიკეს» მართლაც ევსტრატის მეორე სახელია: «მე წარვალ ნათესავისა შენისა თანა კვრისიკესა, რომელ არს დიდებული ევსტრატოსა», «უფალო ჩემო კვრისიკე». ევსტრატი საკმაოდ დიდი თანამდებობის კაცი იყო: «აქუნდა მას ჯელმწიფებაჲ დივანთა ზედა» — «τῆς ἀρχιεπισκοπῆς ἡμετέρας ἡγεμὸν ἔδειξε»¹. რადგანაც მან ქრისტიანობა აღიარა და შეგნებული მისი მქადაგებელი გახდა, იმპერატორ დეოკლიტიანეს (284—305) ბრძანებით ის, ხანგრძლივი და გულდადებითი გამოძიებისა და დაკითხვის შემდეგ, აწამა აგრიკოლას მსაჯულმა ან მთავარმა.

დღესდღეობით ცნობილია ერთადერთი ბერძნული რედაქცია ევსტრატის მარტვილობისა, რომელიც ეკუთვნის სვიმეონ მეტაფრასტს (X საუკ. გასულს)². ის ძველი, კიმენური, რედაქცია ამ თხზულებისა, რომელიც სვიმეონს გადაუკეთებია ან გადაუმეტაფრასებია და რომელიც დაუწერია, ერთი ცნობით, სებასტიელ ბერს ევსევის, მეორეთი კი დოროთეოსს, დაკარგულა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით არსად ჩანს. ეს დაკარგული რედაქცია შემონახულა ქართულ თარგმანში³, რომელსაც ეპოულობთ ორ ხელნაწერში: საქართვე. მუხ. A 95 და სინას მთის № 11 (ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით). რომელი ენიდანაა გადმოღებული ქართული თარგმანი?

ამ საკითხს იმიტომ ვაყენებთ, რომ სვიმეონ მეტაფრასტის დრომდე ამ თხზულების არსებობა მოსალოდნელია არა მარტო ბერძნულს, არამედ, ბერძნულის გზით, აღმოსავლეთის ქრისტიან ერთა ენებზედაც; მაგალითად, ცნობილია სომხურ ენაზე, მართალია ქართულისაგან განსხვავებული, მაგრამ მაინც თავისებური რედაქცია მისი⁴. მართალია, ბერძნული «კიმენი» ამ თხზულებისა არ შენახულა, ამიტომ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას მოვახდინოთ შედარება ქართული და ბერძნული ტექსტებისა, მაგრამ გათვალისწინებით მეტაფრასტული რედაქციისა, რომელშიაც დედანი დიდად გადაკეთებული არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში დიალოგურ ნაწილში, შეგვიძლია ვთქვათ:

¹ ტერმინის Σκρινάριος - Scrinarius-ის შესახებ იხ. Du-Cange, Glossarium t. II, 1401: ἡπισκοπῆς, ἡ ἀρχιεπισκοπῆς τῆς ἡμετέρας, ἡ ἀρχιεπισκοπῆς. აქ მოყვანილია ნაჩვენები ადგილი ევსტრატის მარტვილობიდანაც.

² Migne, PG. T. 116, col. 467—506.

³ ქართულად არსებობს სვიმეონ მეტაფრასტის რედაქცია; ის გადმოღებულია ექვთიმე ათონელის მიერ ავტორის სიტოცხლემივე, X საუკუნეში, და შემონახულა ათონის ხელნაწერში № 50 (H. Mapp, Anographie. matériaux pour l'histoire de la religion. Paris I, 6—7). ქართულადვე არსებობს ერთი რედაქცია ამ თხზულებისა, რომელიც თავში ძველს, კიმენურ რედაქციას მიეყვება, ბოლოში კი მეტაფრასტულს (გელათ-ის № 5, ფურ. 236—256 და ათონის ილიას სკიტისა № 6, ფურ. 114—126).

⁴ P. Peeters, Bibliotheca hagiographica orientalis, p. 70, § 300, Bruxellis, 1910; ეს რედაქცია იმ ნაწილში, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, სვიმეონ მეტაფრასტის რედაქციას იმეორებს (Vitae et passiones sanctorum II, 462—3).

რომ ქართული თარგმანი ბერძნულიდან უშუალოდ არ მომდინარეობს. ბერძნული დედნის სასარგებლოდ თითქოს შემდეგი ფაქტი უნდა ლაპარაკობდეს: ევსტრატო, ნათქვამია ქართულ თარგმანში, დადგინებულ იყო «ყოველსა ზედა ელამიტასა», «რადთა იყვენენ მსახურად მისა ყოველნი ელამიტელნი». როგორც ჩანს, «ელამიტა», «ელამიტელნი» გაგებულია აქ როგორც გეოგრაფიულ-ეთნიკური ტერმინი, ნამდვილად კი გვაქვს, სვიმეონ მეტაფრასტის რედაქციის მიხედვით, ბერძნული $\lambda\iota\mu\iota\tau\alpha\iota$, ლათინური *lunitaneus*, რაც სულ სხვა რამეს ნიშნავს, სახელდობრ: $\tau\omicron\iota\zeta \tau\acute{\alpha}\zeta \chi\alpha\iota\tau\omicron\iota\varsigma\ \rho\alpha\zeta \varphi\alpha\lambda\acute{\alpha}\tau\omicron\iota\alpha\tau\iota\upsilon$ ¹.

მაგრამ ასეთი დამახინჯება ამ ტერმინისა შესაძლებელია მომდინარეობდეს იმ აღმოსავლური ტექსტიდანაც, საიდანაც შეეძლო ქართველ მთარგმნელს გადმოეღო ეს თხზულება. ეგევე უნდა ვთქვათ სიტყვის «ეპისტრატოსა» და საკუთარი სახელების ბერძნული იც-ით დაბოლოების შესახებაც.

უფრო მეტი საბუთია ვიფიქროთ, რომ ქართული თარგმანი არაბულიდან მომდინარეობს. რასაკვირველია, უშუალო შედარება არც არაბულთან შეიძლება, ვინაიდან დღესდღეობით არც არაბულ ენაზე ჩანს ეს თხზულება; მაგრამ საკუთარი სახელების გადმოცემისას ისეთ მოვლენებს ვაწყდებით, რომელთა ახსნა ან მხოლოდდამხოლოდ, ან უპირატესად არაბულ ნიადაგზე შესაძლებელი. ასეთებია:

1. თხზულებაში ვკითხულობთ: ზევსმა ზეცით გარდამოაგდო «მამაჲ მისი აკრონოს», იგულისხმება ღმერთი $K\acute{\rho}\acute{o}\nu\omicron\varsigma$. საიდან გაჩნდა ამ სახელის თავში $\alpha\eta$? ეს არის წმიდა წყლის არაბიზმი, სახელდობრ ეპენტეზისის | გაჩენა ისეთ სახელთა და ტერმინთა სათავეში, რომელნიც ორი თანხმოვნით იწყებიან². მართალია, სახელი $\text{II}\lambda\acute{\alpha}\tau\omega\upsilon$ თავისუფალია ჩვენს ტექსტში ასეთი დამატებისაგან (შემდეგი დროის მაჰმადიანურ-სპარსული გზით შემოსულ ტექსტებში ჩვენშიაც ჩვეულებრივია აფლათუნ=პლატონ), მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ სახელი «პლატონ» მთარგმნელისათვის ცნობილი და გასაგები იყო, ხოლო «აკრონოს» არა, ამიტომ ის მან შექანიკურად გადმოიღო.

2. საკუთარი სახელების გადმოცემისას სისტემურად ნახმარია: ა) ბერძნული α -ს მაგიერ η : ექუსანტიოს (აქუსენტიოს); ბ) სამაგიეროდ α არის ნახმარი ბერძნული ε — α -ს მაგიერ: ექუსანტიოს=აქუსენტიოს, არმი=ერმი, ტიმაოს, ბირაოს, ასშულოს; ც) α იხმარება აგრეთვე ω -ნის მაგიერ: არესტი=ორესტი; დ) η იხმარება ω და η -ს ნაცვლად: $\text{II}\rho\alpha\epsilon\text{:}\beta\acute{\iota}\alpha\upsilon$ ($\text{II}\rho\alpha\epsilon\text{:}\beta\acute{\iota}\alpha\upsilon$ — $\text{II}\rho\alpha\epsilon\text{:}\beta\acute{\iota}\alpha\upsilon$) ტრანსკრიბირებულია როგორც პისიდიონ. ასეთი აღრევა თუ შენაცვლება ხმოვნებისა ("Oμηνος იწერება როგორც «უმიროს», მაგრამ ამ მოვლენას უშუალოდ ბერძნულიდან მომავალ ტექსტებშიაც ვპოულობთ ხოლმე) შესაძლებელი და მოსალოდნელია, ნაცნობი მიზეზის გამო, არაბული დამწერლობის ნიადაგზე.

3. ბერძნულ სახელთა II ტრანსკრიბირებულია ბ-თი: ბირაოს ($\text{II}\epsilon\rho\alpha\epsilon\text{:}\beta$), ბანდროს ($\text{II}\acute{\chi}\epsilon\beta\alpha\rho\omicron\varsigma$), სარბილონ ($\Sigma\alpha\rho\alpha\eta\beta\omicron\iota\omicron\varsigma$); ასეთი მოვლენა ნ. მარს არაბულიდან მომავალი ტექსტების დამახასიათებლად მიაჩნია³.

¹ ამ ტერმინის შესახებ იხ. Du-Cange, Glossarium, t. I, col. 814.

² Н. М а р р, Крещенные армян. греческ. аѳаѳазъ и алаѳѳѳ, стр. 210.

³ Ibid., стр. 203, § 8.

4. თხზულებაში მოხსენებულია ვინმე ასშულას. ვინ უნდა იყოს იგი? მთარგმნელმა, რასაკვირველია, არ იცის, რომ მას საქმე აქვს სახელის *Αἰσχάλας* ეკვივალენტთან, რომელშიაც *α*: გადმოცემულია *α*-თი (§ 2, b), *α*—*α*-თი (§ 2, c), ხოლო *χ* ტრანსკრიბირებულია *შ*-თი. ჩვენთის ამეამად საყურადღებოა უკანასკნელი მოვლენა; მართალია, იგი ($\chi = \text{შ}$) ბერძნული ფონეტიკური მოვლენაა¹, მაგრამ ამას ადგილი ჰქონია არაბულშიაც². ამიტომ, ზემოჩამოთვლილ სხვა მოვლენასთან ერთად, ესეც არაბიზმად შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვენს ტექსტში.

ამრიგად, თავდაპირველი ბერძნული ტექსტი თხზულებისა უთარგმნიათ არაბულად, ხოლო არაბულიდან გადმოუღიათ ქართული თარგმანი.

როდის უნდა იყოს შესრულებული ქართული თარგმანი? ზუსტად ამის გარკვევა ძნელია, მაგრამ, თუ ლექსიკას მივაქცევთ ყურადღებას, საკმაოდ არქაულ შრესთან უნდა გვქონდეს საქმე; აქ ჩვენ გვაქვს ასეთი სიტყვები: ზორვა, გება, მუნქუესეე, საერთადო, ცანდალი, მუსმარი, საჯამრობელი, ჭუპირადსი, ჩუკენი, ჳმათა ქცევაჲ (*τὴ μισση:αἰ*); ბერძნული *αἰ:α:α: λῆγος*; გადმოთარგმნილია ასე: «თქუმული, რომელი დაედვა განგებასა ზედა»: ყურადღებას იქცევს ბრძანებითი კილო მოკვეცილი *ე*-ნით: აჩუენ, უწყოდ. ყოველ შემთხვევაში, მეცხრე საუკუნეზე ადრე, როდესაც იწყება მთარგმნელობა ქართულ ენაზე ლიტერატურული ძეგლებისა არაბულიდან პალესტინაში, საბას ლავრაში, ამ თხზულების გადმოღება საგულვებელი არაა, იმიტომაც, სხვა არა იყოს, რომ იმაში ნახმარია სპარსული ტერმინი «დივანი»; უფრო საფიქრებელია, რომ ის სწორედ მეცხრე საუკუნეში ითარგმნა, რადგანაც ბერძნული *χ*-ს *შ*-თი გადმოცემა, რასაც ჩვენს ძეგლში ვპოულობთ, ნ. მარის დაკვირვებით, სწორედ IX—X ს. ხელნაწერებში იჩენს თავს³.

ვინ არის მთარგმნელი. ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.

აღმოჩენა ქართულ ენაზე დაკარგული ბერძნულ-არაბული თხზულების თარგმანისა თავისთავად მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტია, მაგრამ ამეამად არა ეს ფაქტი გვაინტერესებს ჩვენ; ამთავად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ცნობები ძველი ბერძნული ფილოსოფიიდან, მითოლოგიიდან, იურიპრუდენციიდან და ლიტერატურიდან, რომელთაც ამ თხზულებაში ვპოულობთ. ამიტომ, ვიკავებთ რა თავს მთლიანი თხზულების გამოცემისაგან, ვაქვეყნებთ იმისაგან იმ ნაწილს მისას, რომელშიაც მოცემულია ასეთი ცნობები. ტექსტს ვიღებთ საქართველოს მუზეუმის A ფონდის ხელნაწერიდან № 95.

¹ H. M a p p, Крещение ... стр. 164. მისივე შენიშვნა ჟურნალში Христиан. Восток, т. I, 363.

² Ibid., стр. 203, § 8.

³ Ibid., стр. 164. მისივე შენიშვნა ჟურნ. Христиан. Восток, I, 363.

II

სიტყვებისაგან ევსტრატისა და აგრიკოლას მოაზრისა

- 1140: A. მიუგო წმიდამან ევსტრატოს და ჰრქუა: «შ მსაჯულო, მითხარ მე, რომელსა ესე გკითხავ შენ: შჯულნი უფლებენა მეფეთა ზედა ანუ არა?», ჰრქუა მას მთავარმან მან: «ჰე, უფლებენ. რამეთუ იმარხვენ მათ!» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს: «უკუეთუ შენზედაცა ვიდრემე უფლებენა და ყოველთა ზედა, რომელნი არიან შენებრნი, ანუ თუ წიგნსა ხოლო შინა დაწერილ არიან?» 5
- 1141a ჰრქუა მას მთავარმან მან: «და რაესათვს იკითხავ ამას | საკითხავსა, შ თაეო კეშმარიტებისა წინააღმდეგობთაო, და ვინ იკადროს ყოფად რაესამე წინააღმდეგომი შჯულთაჲ?» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს: «შ მსაჯულო, რამეთუ პოვნო არს შჯულსა შინა დიდებულისა კეისრისასა ესრტო: ..განეშორენ ყოველიძულეზაჲ ყოვლისა სიტყვასაგან და საქმისა და იხმიენ საზომი დაჯერებად ყოველსა ადგილსა! და ჯერ არს მისა, რომელი არს მთავარსა ქუეშე, ორთა საქმეთაგანი ერთი: ანუ დაარწმუნოს და მიილოს, რასა იგი ეძიებდა, ანუ დაირწმუნოს და ყოსბრძანებული იგი მისა ნებითა თაეისა თვისისაჲთა». და შემდგომად სიტყვას ამის მცირედრე კუალად იტყვს ესრტო: ..უბრძანებთ მფლობელსა, რაჲთა განხაოს შიში სიმშჯდითა და ეგრტო შჯიდეს საშჯელსა ბქობისასა, რაჲთა არა ნოდულეზულ იქმნეს შიშისა მისგან და არცა შეურაცხ იქმნეს და დაწუნებულ სიმშჯდისა | მისგან». ესე ესრტო წერილ არს. შ მსაჯულო, ანუ არა?», ჰრქუა მას მთავარმან მან: «ჰე, კეშმარიტად წერილ არს!» მაშინ წმიდამან ევსტრატოს ჰრქუა მას: «უკუე გევედრები, რაჲთა დაჰმარხო სიტყუაჲ ესე ჩემზედა!» 20
- 1141b ჰრქუა მას მთავარმან მან: «შენ ზედა და ყოველთა ზედა ჯერ არს დამარხვად რომელი იგი არს შჯულთა შინა, ვითარცა თანამდებისა საქმე საპატიოჲ!» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს: «უკუე გევედრები, რაჲთა განჰხაო შიში სიმშჯდითა და სითიცხლმ მყუდროებითა; ვითარცა კაცმან გამოცდილმან ანუ დაარწმუნო პირველად, ანუ დაარწმუნო და ჰბქობდე ყოველთა ზედა გულის-ზრახვთა მართლითა და ცოცხლითა. და უკუეთუ არა მომმადლებ მას სათხოელსა. უკუე თვნიერ სიტყვასა და გამოკითხვისა, გინა შჯულისა მგუემე, მტანჯე, მომკალ და ყავ, რაჲცა გნებავს». ჰრქუა მას მთავარმან მან: «ყოველი, რომელი გნებავს- 25
- 1142a თქუ კადნიერად, | რამეთუ მსაჯულებასა ჩუნსა უყუარს დარწმუნებაჲ უფრო- 30
მსლა ფრიადა.
- B. ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს: «ვითარ მიბრძანებ მე, შ მსაჯულო, რაჲთა ეჰმონებდე ერთსა ღმერთსა ანუ მრავალთა ღმერთთა?», ჰრქუა მას მთავარმან მან: «ღმერთსა ერთსა და ღმერთთა მრავალთა!» მიუგო მას ევსტრატოს და ჰრქუა: «ღმერთსა დიდსა და ღმერთსა მცირესაჲ?» ჰრქუა მას მთავარმან მან: «ჰე, ზევს[ს] პირველად და მისა შემდგომად აპოლონს და პისიდიონს!» ჰრქუა მას ევსტრატოს: «რომელთა ბრძენთაჲ, ანუ რომელთა მეცნიერთაჲ, გინაჲ წინამსწარმეტყუელთაჲ გასმიეს ვითარმედ თაყუანის სცეს ამათ?»

ჰრქუა მას მთავარმან მან: «პლატონსი და არისტოტელსი და არმისი და
 სხუათა ბრძენთაჲ, რომელნი, უკუეთუმცა იცნოდე, პატივმცა სცემდი ვსენებასა
 მათსა, ზ ევსტრატოსს, რამეთუ იყვნეს იგინი კაცნი დიდებულნი და განსა-
 142b კვრებელნი». | ჰრქუა მას ევსტრატოსს: «არა უმეცარ ვარ მე ერთსაცა მათ-
 განსა, არამედ სიყრმით ჩემითგან ვიკითხავ საქმესა მათსა და ვიცნი თქუმულ- 5
 ნი მათნი და მისწავიეს ყოველთა ვმათა ქცევად, რამეთუ მესუა მე მამად კეთი-
 ლის მოყუარჲ და გონიერი და მასწავა ესე ყოველი; უკუეთუ მიბრძანო მე,
 ვიწყო პლატონისითგან და წარმოვთქუა». ჰრქუა მას მთავარმან მან «რამეთუ
 ეპოვეთ ჩუენ ვითარმედ პლატონ დაწერა წიგნსა შინა მისსა, რომელი მიუწერა
 ტიმაოზს, ვითარმედ გარდავიდა იგი მდინარესა ერთსა, რომელსა ერქუა 10
 ბირაოს, და ილოცა მუნ ღმერთთა მიმართ. ესე შენთანა ბრძენი არს [ანუ]
 არა?» ჰრქუა მას ევსტრატოსს: «ფრიადლა და დიდად აბრალებს პლატონ
 ღმერთსა შენსა ზევსს], და ისმინე, რასა იგი იტყვს მისა მიმართ, ვითარმედ
 :43a იწყე შენ ბირაოსითგან და თქუმულისაგან მისისა, რომელი | დაედვა განგებასა
 ზედა, წიგნსა მას შინა მისსა მეორესა, [რომელსა] წერილ არს ესრეთ ვითარ- 15
 მედ კეთილის მომცემელ არს ღმერთი და მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ, ვითარ
 იგი ვიტყვთ ყოველნი, და არა თუ მიზეზი გარეშე კეთილისაჲ, რომელ არს
 ბოროტი; ხოლო კეთილისასა ესრეთ ვიტყვთ ვითარმედ არავენ არს მიზეზი
 მისი, გარნა მხოლოდ ღმერთი, ხოლო ბოროტისა არა არს მიზეზ. აწ უკუე არა
 ჯერ არს შენდა, რადთა შეიწყნარო უმბროს, გინა სხუად ვინმე ფილოსოფოს- 20
 თა მათგანი, მისებრ მეტყუელთაჲ, რომელთა თქუეს ვითარმედ ზევს მიზეზი
 არს კეთილისაჲ და ბოროტისაჲ და მზაკუვარ ექმნა სარწმუნოებასა და დაჰ-
 ვსნა ზორვად, რომელ იგი ყო ბანდროს. და ნუ აქებ კუალად შფოთისმოყუა-
 რეობასა ღმერთთასა, რომელსა ზევს მინდობილ იყო. და კუალად თქუა ასშუ-
 43b ლას ვითარმედ ღმერთი არს მიზეზი რაემს | კნებავენ კაცსა ბოროტისა ყოფად 25
 ყოვლისა სახისაჲ. და არა უნებს პლატონს, რადთა ესმეს ქალაქსა შინა მისსა
 მეტყუელად არცა ბერი და არცა ქაბუკი, რომელი იტყოდეს ესე ვითარსა რას,
 ვითარმედ არა სათნო არს, რადთა ესუას მას ღმერთი მამის მკლველი, ვითარ
 ესე ზევს, რომელსა აწ თქუენ ესავთ, ვითარმედ გარდამოავდო მამად მისი
 აკრონოს ზეციით და შემუსრა იგი. და არა ჯერ არს, ვითარმცა ითქუა 30
 ღმრთისა ზედა ვითარმედ შექმნა თავი თვისი მფრინველად და აცთუნა დედაკა-
 ცი და იბრუშა მის თანა. და კუალად სძულს პლატონს ღმერთი შენი ზევს ფრი-
 ად, რამეთუ სიმძლავრითა მით ტრფიალებიისა მისისაჲთა მძლგ ექმნა მას გლო-
 ვად დედაკაცისაჲ და ტიროდა იგი სიკუდილსა ზედა სარბიდონისსა.
 ანუ არა ესე არსა, ზ მსაჯულო, რამეთუ წერილ არს წიგნთა შინა მისთა? უვარ- 35
 44a ყო. ესე ღმერთად და ბრძანა, | რადთა არავენ ემსგავსოს მას კეთილის მოყუა-
 რეთაგანი ამით ესე ვითარითა ვნებითა. აწ რადსათვის თქუენ ჰგმობთ ესე ვითარ-
 თა საქმეთა, რომელთა იგინი ვლტოლვილ იყვნეს მათგან, და ჩუენცა გუაიბუ-
 ლებთ კუალად, რადთა ჩუენცა თაყუანის ესცეთ თქუენთანა?

1 პლატონესი. 7 მოყუარე. 14 ბირაოსითგან.—და თქუმული მისი. 15 ესრეთ. 17 გარეშე.
 18 ესრეთ. 38 რომელთა] რომელსა.

C. და ჰრქუა მას მთავარმან მან: «თავსვიდვა უგუნურებად შენი სიბრძნისა ჩემისათვის, და შენცა კუალად მითხარ ჩუენ; ვინ არს ღმერთი, რომელსა შენ ესავ, და ვითარ იქმნა იგი კაც და დაისაჯა და ჯუარს ეცუა, და იტყუთ მისა, ვითარმედ ღმერთი არს?» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს «უკუეთუ მიბრძანონ შე, რადთა ვიტყოდე, უკუე ისმინე ჩემი სულგრძელებით და განვაგოთ საქ- 5
მე ესე პირველად გულის სიტყუათა მართლითა და კეშმარიტითა და შემდგომად გაუწყო შენ რომელსა იგი ეძიებ». ჰრქუა მას მთავარმან მან: «მიბრძანებთეს შენდა, იტყოდე, რადცა გნებავს აწ!» მაშინ თქუა წმიდამან ევსტრატოს: 10
«უღირს ყოველსა კაცსა გონიერსა, რადთა იხილოს ღმერთი ვითარმედ მართალ არს და მიუწდომელ და გამოუთქუმელ და არარად ჰგავს მას; და უცუა- 10
ლებელ არს გონებითა და მიუთხრობელ არიან საქმენი მისნი და ძალი მისი უფროეს ყოველთა ძალთა. ანუ არა ესე არსა შენ წინაშე, ჰ მსაჯულო, ბრძენო?» ჰრქუა მას მთავარმან მან: «ეგრე ვჰგონებ!» ჰრქუა მას ევსტრატოს: «შევსძინოთ ყოვლისათვის ესეცა, რამეთუ არა იცუალების იგი ადგილითი ად- 15
გილად». ჰრქუა მას მთავარმან მან: «კეშმარიტად ყოვლით კერძოვე!» ჰრქუა 15
მას წმიდამან მან: «აწ უკუე და ვირწმუნოთა, ვითარმცა იყენეს სხუანი ღმერთ-
ნი მისვე შანთისაგან წარუვალისა და განურყვენელისა და ვთქუათ ვითარმედ
მას შინა არიან ყოველნი და, უკუეთუ იყვნენ დაკლებულ მისგან, ჯერ არს 20
ჩუენდა, რადთა არა ვგონოთ იგი ღმერთ არავეის კაცთაგანისა წინაშე, რამეთუ
ღმერთი სრულ არს, ვითარცა იგი თქუმულ არს, რომლისაჲ იგი ჯერ არს 20
თაჟუანისცემად და დარწმუნებად ყოვლით კერძო». ჰრქუა მას მთავარმან მან: «ეგრეთ არს!» ჰრქუა მას წმიდამან მან: «უკუე რად ვთქუათ ღმერთთა მაგათ
შენთათვის მრავალთა: მათ ყოველთაჲ [არსა] ესე დიდებულებაჲ და სათნოებაჲ
წმიდაჲ და ძლიერებაჲ და შუენიერებაჲ სამარადისოჲ, ვითარ ეგე იტყუთ, და
ძალითა სწორ არიან და ბუნებითა შეერთებულ ურთიერთას და არა განშო- 25
რებულ? და უკუეთუ ესრე არიან და სრულ ყოვლითა და სწორ საქმითა და
სიბრძნითა, და არა ერქუმის მათ ღმერთნი დიდნი და მცირენი, არამედ ერთი
ღმერთი, ძლიერი ძალითა მიუწდომელითა, და სახელი ერთი ღმრთეებისაჲ
წოდებად, და ნუ ჰგონებთ მათსა ვითარმედ ერთი მათგანი ზეცას დამკვდრე-
ბულ არს და ერთი ზღუას და ერთი ჯოჯოხეთს. ანუ არა ესრე ჰხედავა, ჰ 30
მსაჯულო!» | და... ჰრქუა... მთავარმან...: «ვითარ ჰმონებ ღმერთსა ჯუარცმულ-
სა?» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს: «ვიწყო ის იდოს ეს ითგან თი-
ლოსოფოსისა: „დასაბამსა იყო სიბნელე და უფსკრული წყალთაჲ“. მაშინ
ღმერთმან შეამკო სოფელი ესე არა თუ ყოფილისა რადსაგანმე, არამედ დაჰბადა
ყოველივე არარადსაგან სიტყუათა და ბრძანებითა მისითა» [ამის მკმდგვ მაცუა- 35
ნილია, საგჰაოდ ვრცლად, იბილიერი მოთხრობა ქვეყნის და ადამიანის მკმ-
ნის შესახებ, აგრეთვე სახარების თქმულება ქრისტეს ევაწლზე, და მენიშნულია: |
«ესე ვთქუ შემოკლებულად, რადთა დაირწმუნო ბრძენისა შენისა პლატონისა-
გან და მეცნიერ იქმნე ჩემ მიერ და დაუტეო ზეეს, რომელმან იგი მოკლა მა-
მად თვისი, ღმერთმან შენმან მეძაემან და მფრინველმან და გრძნეულმან, რომე- 40
ლი იტყუებდა შეილთა თვისთა სიკუდილსა».

III

მოტანილი ნაწყვეტი შედგება სამი ნაწილისაგან, რომელთაგან პირველი (A) იურიდიკული ხასიათისაა, მეორე (B) მითოლოგიურ-ლიტერატურულს, ხოლო მესამე (C) ფილოსოფიურ-თეოლოგიურისა.

პირველ ნაწილში ჯერ აღიარებულია საყოველთაო სავალდებულო ხასიათი რომის კანონებისა, რომელთა ძალას სცნობენ და ემორჩილებიან ყველანი, მეფეთა და მთავართა გამოუკლებლივ. მერე ნაჩვენებია რომაული მოქმედი სამართლის («მჯული დიდებულისა კეისრისა») სამი მუხლი: 1) მსაჯულის სიტყვასა და საქმეს უნდა ახასიათებდეს არა იძულება, არამედ დამაჯერებლობა; 2) პასუხისმგებელმა ან უნდა დაარწმუნოს მსაჯული და ამით თავის მიზანს მიაღწიოს, ან თვითონ უნდა ირწმუნოს მისი და თავის ნებით შეასრულოს ის, რასაც მისგან მოითხოვენ; 3) მსაჯულმა საქმის წარმოებისას უნდა ჯანჯანოს შიში სიმშვიდითა, რათა შიშმა არ შეაძულოს ადამიანს კანონები, ხოლო ზედმეტმა სიმშვიდემ აბუჩად არ ააგდებინოს ისინი. ევსტრატის გამოსთქვამს იმედს, რომ ის გასამართლებული იქნება ყველაფრის ამის გათვალისწინებით.

მეორე ნაწილში¹ მსაჯული, ევსტრატის შეკითხვაზე, აყენებს შემდეგს დებულებას: ადამიანი თაყვანს უნდა სცემდეს არა მარტო „ერთსა“ და „დიდს“ ღმერთს (θεῶν), როგორცაა ზევსი, არამედ „მრავალთა“, „მცირეთა“ ღმერთთაც (θεῶν ἑταίρων), მაგალითად, აპოლონსა და პისიდიონს (ამ სახელის შესახებ იხ. ზემოთ § 2, d). ღმერთების დაყოფაში „ერთად“ და „მრავლად“, „დიდად“ და „მცირედ“ ძველ ბერძენ მოაზროვნეთა, განსაკუთრებით კი პლატონის ფილოსოფიური მოძღვრება გვესმის. მართლაც, ევსტრატის შეკითხვაზე: რომელი ბრძენი, ან მეცნიერი, გინა თუ წინასწარმეტყველი (πρῶταρχος) თაყვანსასცემდა მათო, მსაჯული ასახელებს პლატონს, არისტოტელეს და არმის. არმია არის Ἐρμῆς Τρωάδης, რომლის სახელს, დამახინჯებული სახით, ჩვენი მემატრიანეც იხსენიებს (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, 198, 205) ერთს აღგილას (ამის შესახებ იხ. ქ. ქეკელიძე, რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი, ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა. თბილ. უნ-ის მოამბე V, 306—308). თავისი სიტყვების დასადასტურებლად მსაჯული ასახელებს პლატონის თხზულებას «ტიმაოსს»: «წიგნსა შინა მისსა, რომელი მიუწერა ტიმაოსს» (ἐν τῷ περὶ Τιμαίου βιβλίου), სადაც ვითომცდა სწერია, რომ პლატონი «გარდავიდა მდინარესა ერთსა, რომელსა ერქუა ბირაოს (ἐν τῷ Περὶ Τιμαίου ἀναξίμου) და ილოცა მუნ ღმერთთა მიმართ». „ბირაოს“ (Περὶ Τιμαίου) არის ქ. ათენის ერთ-ერთი ნავსადგური, რომელიც ქართველ მთარგმნელს, თუ მის არაბულ დედანს, „მდინარედ“ გაუგია და მოუნათლავეს. ეს მოწმობა მაინცადამაინც დამაჯერებელი არ უნდა ყოფილიყო ევსტრატისათვის, რადგანაც დასახელებულ თხზულებაში ასეთი ცნობა არ

¹ ეს ნაწილი ძველი „კიმენისა“ უფრო ნაკლებად უნდა იყოს წევკლილი სვიმეონ ზეტარასტის რედაქციაში (Migne, PG. t. 116, თავი KB, col. 492 ABCD), ამიტომ უფრო თამამად შეიძლება ამ რედაქციით შემოწმება ჩვენი ტექსტისა.

მოიპოვება, მაგრამ ის მაინც განაგრძობს ბაასს: მოიგონე, თუ რას ამბობს პლატონი თავის მეორე წიგნში: ღმერთი არის მიზეზი ყოველი კეთილისა და არა ბოროტისა. აქ სახელი მეორე წიგნისა აღნიშნული არაა, მაგრამ უნდა იგულისხმებოდეს პლატონის თხზულება „სახელმწიფო“, სადაც ხაზგასმით არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ღმერთი, როგორც უაღრესად სახიერი (ἄγχιος) არსება, არ შეიძლება იყოს მიზეზი ბოროტისა. აქ რომ მართლა „სახელმწიფო“ იგულისხმება. ეს შემდეგიდანაც ჩანს: „სახელმწიფოში“ პლატონი ავითარებს იმ აზრს, რომ ქვეშარიტი ღვთაების წარმოდგენას არ უდგება პომპროსის, ჰესიოდეს და სხვა პოეტების თქმულებები ღმერთების შესახებ, ვითომც ისინი ერთმანეთს ამბობენ, სტანჯვენ, კმუსრვენ და მტრობენ, რომ ისინი, მოტყუილებისა და შეცდომაში შეყვანის მიზნით, იცვლიან თავიანთ გარეგნობას და სხვ. მართლაც, ჩვენს ტექსტში ევსტრატი ეუბნება მსაჯულს: არ არის დასაჯერებელი „უმპროსის“ და სხვა „ფილოსოფოსთა“ (φιλοσοφῶν) შეხედულება, რომ უზენაესი ღვთაება არის მიზეზი კეთილისა და ბოროტისა (პომპროსის და ესქილეს მოძღვრებით, ადამიანის ყოველგვარი მოქმედების, კეთილის თუ ბოროტის. მიზეზი არის უღმობელი ბედი ან შეუცნობელი ღვთაებრივი ძალა), რომ მისი შთაგონებით ბანდროს ამზაკუვარ ექმნა სარწმუნოებასა და დაჰქსნა ზორეაჲ» (ἄρα οὐκ ἔστι φιλοσοφῶν τῶν ἀπὸ τῆς ἀρχῆς τῆς ἀληθείας). ამ ადგილას, რომელიც, მეტაფრასტული ბერძნული ტექსტის მიხედვით, საკმაოდ ბუნდოვანია, «ბანდროს» უნდა იყოს Πάνδαρος (Pandarus)¹. ძე ლიკაონისა, ერთ-ერთი ბელადი ტროელთა ომისა, სახელგანთქმული მოისარი, რომელმაც დასჭრა მენელარსი და ამით დაარღვია კოტახნის წინათ დადებული პირობა და ფიცით შეკრული კავშირი. შემდეგ, არ არის დასაჯერებელი, რომ ქვეშარიტი ღმერთი იყოს შფოთის მოყვარე და თავისი მამის, კრონოსის, ზეცით გარდმომგდებელი და მკვლელი, იგულისხმება საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული თქმულება კრონოსის მიერ თავისი ახლადდაბადებული შვილების შთაყლაპვის, ზევსის გადარჩენისა და მის მიერ მამის დამხობის შესახებ. არც იმის დაჯერება შეიძლება, განაგრძობს ევსტრატი, რომ ქვეშარიტმა ღმერთმა, მრწამოსის მიზნით, თავისთავი ფრინველად შესცვალოს და დედაკაცი შეაცთინოსო; აქ იგულისხმება თქმულება იმის შესახებ, რომ ზევსმა მიიღო სახე გედისა და შეაცდინა ლედა, ანდა მხედველობაში მიღებულია მისი ხშირი გამოცხადება ჰერასთან გუგულის სახით. არც ის ეგუება ქვეშარიტი ღვთაების იდეას, რომ ქალისადმი ტრფიალებით და მისი გავლენით, ის, ღმერთი, სტიროდა «სიკუდილსა ზედა სარბიდონისსა». აქ იგულისხმება შვილი ზევსისა Δαίμονος, მეფე ლიკიელებისა, ტროელთა მოკავშირე, პატროკლეს მიერ მოკლული. პლატონს არ უნდაო, ამბობს ევსტრატი, რომ ამგვარი ვნებებით შეპყრობილ ღმერთს ემსგავსოს ვინმე კეთილისმოყვარეთაგანი, მას არ უნდა, რომ ასეთი რამე სჯეროდეს ბერს თუ ქაბუკს მის ქალაქშიო. ღირწმუნე ბრძენისა შენისა პლატონისაგან და დაუტევე ზევს, რომელმან იგი მოკლა მამაჲ თჳსი.

¹ სვიმონ მეტაფრასტის ტექსტში, აქედან სომხურშიაც, შეცდომით არის Πάνδαρος.

ღმერთთან შენთან მეძავთან და ფრინველთან და გრძნეულთან, რომელი იტყუბდა შეილთა თვსთა სიკუდილსაო», ათავებს თავის სიტყვას ევსტრათი.

მესამე ნაწილში ევსტრათი ჯერ უთვალისწინებს მსაჯულს, რომ ღმერთი, ყოველი გონიერი და ჯანსაღ-მოაზროვნე ადამიანის შეხედულებით, უნდა იყოს მართალი, მიუწვდომელი, გამოუთქმელი, შეუდარებელი, უცვალებელი, ყოვლად ძლიერი, ბრძენი, ყოვლად შეენიერი, ყოვლის შემცველი, ყოვლგან მყოფი, ერთი სიტყვით—ყოვლად „სრული“. ასეა ხომო, ეკითხება ევსტრათი. მსაჯული ეთანხმება, რომ სხვანაირად არც შეიძლება წარმოვიდგინოთო. მაშასადამე, ეუბნება ევსტრათი, თუ რომელსამე თქვენს ღმერთთაგანს აკლია თუგინდ ერთი ამ თვისებათაგან, ის, როგორც არასრული, ნამდვილ ღმერთად ვერ ჩაითვლება, ხოლო თუ ისინი ყველანი ერთი «შანთის» ან ბუნების არიან, თუ ისინი «სრულ არიან ყოვლითა და სწორ საქმითა და სიბრძნითა», მაშინ, უნდა ვთქვათ, აღარ არიან «ღმერთნი დიდნი და მცირენი», როგორც თქვენ გჯერათ, და არც იმისი თქმა შეიძლება, რომ ერთი მათგანი «დამკვდრებულ არს ზეცას, ერთი ზღუას და ერთი ჯოჯობეთს». ასეთი წარმოდგენა ღეთაებაზე და არგუმენტაცია ამ წარმოდგენისა ძირითადად ამოღებულია პლატონის თხზულებებიდან, როგორცაა ტიმეოსი, სახელმწიფო, ფედონი, კანონები, განსაკუთრებით პირველი. ამრიგად, ევსტრათიმ მსაჯული საკუთარი მისი, ელინური, იარაღით დაამარცხა, იქამდე, რომ მან «ეერ შეუძლო პასუხისა მიცემად და დაღუპნა მყოვარ ეამ». ერთადერთი, რაც მან მოახერხა, — ბრალდებულს ეკითხება ქრისტიანობის შესახებ: რაღას წარმოადგენს იგიო? ევსტრათი იწყებს ქრისტიანობის შესახებ ლაპარაკს ბიბლიური კოსმოგონიით და აქაც, მეტი დამაჯერებლობისათვის, იშველიებს ჰესიოდეს «თეოგონიიდან» შემდეგს ცნობას: «დასაბამსა იყო სიბნელს და უფსკრული წყალთაჲ» (ბერძნულით—ერებოსი და ქაოსი). ეს ცნობა მისთვის იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სიტყვასიტყვით იმეორებს იმას, რასაც ბიბლიის პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ (შესაქმ. I, 2).

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამეამად წარმოვადგინოთ შემდეგი მსვლელობა ამ სიტყვისგების ან პაექრობისა. მოყვანილი ნაწყვეტი ამ სიტყვისგებისა საყურადღებოა იმით, რომ 1) რომის სამართლის არსისა და საფუძვლების გათვალისწინებით, ის ხელს უწყობდა ძველს საქართველოში იურიდიკული შეგნების გაცხოველებას, ჩამოყალიბებას და გაღრმავებას; 2) შემოქონდა ჩვენს ძველს მწერლობაში ცნობები ანტიკური ლიტერატურიდან და მითოლოგიიდან; 3) აცნობდა ჩვენს წინაპრებს ანტიკური ფილოსოფოსების თხზულებებსა და შეხედულებებს. ყველაფერი ეს ნოყიერ ნიადაგს ჰქმნიდა იმ კულტურულ-ლიტერატურული და ფილოსოფიური რენესანსისათვის, რომელმაც, გარკვეულს პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ პირობებში, მძლავრად იფეთქა ჩვენში მეთერთმეტე საუკუნიდან. მეორე მხრივ ისიც აღსანიშნავია, რომ ამგვარი ცნობები შემოდიოდა და ვრცელდებოდა ჩვენში არა მარტო ბერძნული, არამედ არაბული მწერლობიდანაც. მეშვიშობა არაბული ლიტერატურისა ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის შეთვისებისა და მისი გადაცემის საქმეში აღმოსაფლეთისა და დასავლეთის ქვეყნებისადმი დიდი მნიშვნელობის ფაქტია, მაგრამ ეს სპეციალური კვლევა-ძიების საგანია და ამეამად თავს ვიკავებთ მისგან.